გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 33

2020 წლის 10 ივლისი

ქ.გორი

„საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების და ჩაბარების წესის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის)აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტის და დაბრუნებული (გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი) საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„საჯარიმო ქვითრის (ოქმის) შევსების და ჩაბარების წესის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის, დაბრუნებული, გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ჩამოწერის აქტის და დაბრუნებული (გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი) საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №30 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/04/2018, 010250000.35.148.016476) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ბოლო გვერდზე დაიტანება საჯარიმო ქვითრის (ოქმის) დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს, დამკვეთის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით და მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის დადგენილი წესით რეგისტრაციის ნომერი. საჯარიმო ქვითარზე (ოქმზე) პოლიგრაფიული წესით დაიტანება უწყვეტი თანმიმდევრობის, ინდივიდუალური (უნიკალური, განუმეორებელი) 6-ციფრიანი ნომერი. საჯარიმო ქვითარზე დაიტანება გილიოშირებული უნიკალური ფონი და მიკრო შრიფტი“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3 შეიცვალოს ახალი დანართი №3-ით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

21E086087

დავით რაზმაძე

საჯარიმო ქვითარი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ოქმი № 0000000

სატრანსპორტო საშუალების მარკა,

სახელმწიფო ნომერი: ქვითრის

სამართალდარღვევის ადგილი, თარიღი, დრო:

დარღვევის არსი: ჩასაკრავი

- ☐ სასკ-ის 125[4]- 1 - პარკირების საფასურის გადაუხდელობა.
- ☐ სასკ-ის 125[4]- 2 - პარკირების წესების სხვა დარღვევა. ადგილი
- ☐ სასკ-ის 125[4]- 3 - არაუფლებამოსილი პირის მიერ შშმ პირების სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე დგომა.

სახაზინო კოდი: 750437501

შენიშვნა:

უფლებამოსილი პირი:

უფლებამოსილი პირის სამკერდე ნომერი:

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: _____

დამრღვევის სახელი, გვარი: _____

მისამართი: _____ პირადი №: _____

დამრღვევის ახსნა - განმარტება: _____

_____ დამრღვევის ხელმოწერა: _____

მოწმე ან სხვა მონაწილე პირი: _____ ხელმოწერა: _____

.....

ნაწილი II. საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ყუა

№ 0000000 (ეს ნაწილი რჩება საბანკო დაწესებულებაში)

გადამხდელის სახელი, გვარი: _____ ჯარიმის ოდენობა: _____

გადამხდელის მისამართი: _____

- ☐ სასკ-ის 125[4]- 1 მუხლი.
- ☐ სასკ-ის 125[4]- 2 მუხლი. სახაზინო კოდი: 750437501
- ☐ სასკ-ის 125[4]- 3 მუხლი.

გადამხდელის ხელმოწერა: _____ მიმღები მოლარის ხელმოწერა: _____

ადმინისიტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა განმარტებანი, წარადგინოს მტიკებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით მოქალაქეს უფლება აქვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.goriparking.ge
ცხელი ხაზი: 00000000

დამკვეთი: ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
კეთილშობილობის სააგენტო"
მისამართი: გორი, ცხინვალის გზატკეცილი, IIკმ, ს/კ-418471068.

დამამზადებელი:

სფს-სრეგისტრაციის N°000000